

შპს საზოგადოებრივი
კოლეჯი ამაგი

პროფესიული განათლების მასწავლებლის
კმაყოფილების კვლევა

2022
წელი

სარჩევი

- შესავალი
- კვლევის მეთოდოლოგია
- მიზანი
- კვლევის ამოცანები
- კვლევის შეზღუდვები
- კვლევის შედეგები
- დასკვნა
- რეკომენდაციები

შესავალი

- კვლევა დაიგეგმა და ჩატარდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმზე დაყრდნობით და სასწავლო მარეგულირებელი დებულების შესაბამისად. შუალედური კვლევა ჩატარდა სამოქმედო გეგმის თანახმად **2022** წლის ივნისის თვეში. მასში მონაწილეობა მიიღეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის **32** პროფესიული განათლების მასწავლებელმა.
- გამოყენებულ იქნა ხარისხის კონცეფციის შიდა შეფასება, რომელიც გულისხმობს კოლეჯის სხვადასხვა სამსახურის საქმიანობის შიდა შეფასებას, შეფასების შედეგებზე რეაგირებას, მიღებული შედეგების გაუმჯობესებას. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია

- კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, გამოყენებული იყო სასწავლო მარეგულირებელი დებულების თანახმად, ხარისხის კონცეფციის კითხვარი დანართი 7.
- გამოკითხვა განხორციელდა **googl.doc**-ის მეშვეობით. გამოკითხვის დროს დაცული იყო თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის კონფიდენციალურობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებს **googl.doc** ლინკი მიეწოდათ დახურულ **facebook** ჯგუფების მეშვეობით. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიეცათ ორი კვირის ვადა შეეესოთ კითხვარი.
- კითხვარი ითვალისწინებდა ღია და დახურული ტიპის კითხვებს.

მიზანი

- კვლევის მიზანია გამოავლინოს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების მასწავლებლის კმაყოფილება კოლეჯში მიმდინარე პროცესებთან და სასწავლო გარემოსთან მიმართებით, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლის სწავლების მოქნილი უნარების დადგენა.

კვლევის ამოცანები:

- 1. შეისწავლოს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილება, კოლეჯში არსებულ სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით;
- 2. დაადგინოს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობისა და მომსახურების ხარისხი.
- 3. შეისწავლოს პროფესიულ სტუდენტების კმაყოფილება მატერიალური/სასწავლო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შესახებ.
- 4. დაადგინოს პროფესიულ სტუდენტთა შეხედულება კოლეჯში უფლებების დაცვასთან და ღონისძიებებთან დაკავშირებით.


კვლევის შეზღუდვები

- კვლევის პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან მაღალი აქტივობა (32 პროფესიული განათლების მასწავლებელი 52 დან)
- კვლევის პროცესის დროს პროფესიული განათლების მასწავლებლებს დამატებით დასჭირდათ შეხსენება, რომ შეევესოთ კითხვარი.
- რესპონდენტთა პასუხები გადმოტანილია უცვლელად, შესაბამისად შესაძლებელია მათი პასუხები მოიცავდეს უზუსტობებს.

კვლევის შედეგები

1. მოდულის და სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართავს სასწავლო პროცესს

1. მოდულის და სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართავს სასწავლო პროცესს;
32 responses



● დიახ
● არა

2 ყველაზე ხშირად რა მეთოდებს იყენებთ სასწავლო პროცესს წარმართვისას

- ლექცია, გამოკითხვა, ლიტერატურაზე მუშაობა,
- ინტერაქტიული ლექცია, მასალის მიწოდება ჯგუფში ონლაინ ტექსტის, ფოტო და ვიდეო მასალის სახით.
- ახსნა.გამოკითხვა.დისკუსია
- ლექცია, სემინარი,დისკუსია,
- ლექცია, პრეზენტაცია(თუ თემა მოითხოვს), სემინარი(მიცემული დავალების განხილვა).
- ჯგუფში მუშაობა.პრეზენტაცია სლაიდებით
- კითხვა პასუხი.წყვილებში მუშაობა.გონებრივი იერიში.ლექცია.
- ვხსნი მასალას,ახსნილი მასალის გარშემო ვსვამ კითხვებს თუ მასალა საშუალებას იძლევა ვახდენ სიტუაციური ამოცანებით განხილვას
- პრეზენტაცია, განმავითარებელი და საბოლოო შეფასებები
- განმავითარებელი და საბოლოო შეფასებები
- ლექცია უკუკავშირი

2 ყველაზე ხშირად რა მეთოდებს იყენებთ სასწავლო პროცესს წარმართვისას


- ლექცია, სემინარი პრეზენტაცია
- თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას
- სწავლების თანამედროვე მეთოდებს, თემის შესაბამისად
- ვიდეო მასალაა
- სლაიდ შოუ
- ლექცია, სემინარი და დისკუსია
- თეორიული.პრაქტიკული . დისკუსია.
- ჯგუფური მუშაობა.
- ლექცია,სემინარი, პრეზენტაცია,პრაქტიკული დავლება
- მასალის ახსნა, კითხვა პასუხის რეჟიმში გამხილვა მოცემული თემის და სტუდენტების ჩართულობით განვლილი მასალის გამეორება.
- ინტერაქტიული ლექცია, ელექტრონულად ატვირთული ტექსტი, ფოტო და ვიდეო მასალა.

2 ყველაზე ხშირად რა მეთოდებს იყენებთ სასწავლო პროცესს წარმართვისას

- ლექცია სემინარი.თვალსაჩინოება.ვიდეომასალები.როლური თამაშები.
- პრეზენტაციებს ,კითხვა პასუხის რეჟიმს ,სახალისო აქტივობებს
- ლექცია, სემინარი-დისკუსია ახსნილი მასალის გარშემო. პრაქტიკული მეცადინეობა
- ახსნა, მასალის გადაცემა,დისკუსია მასალის გარშემო,თუ მასალა საშუალებას მაძლევს ფოტო და ვიდეო მასალის ჩვენება
- წინასწარ მომზადებულ მასალებს
- ვმუშაობთ, როგორც ინდივიდუალურათ, ისე გუნდური პრინციპით.
- გონებრივი იერიში,დებატები, დისკუსია,პრაქტიკული დავალებადა სავარჯიშოები
- ლექცია სემინარი,დისკუსია,როლური თამაშები,დავალება დაკვირვებით
- ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა ლაბორატორიაში.

3. ანაწილებთ თემატიკას კალენდარული გეგმის მიხედვით;


3. ანაწილებთ თემატიკას კალენდარული გეგმის მიხედვით;
31 responses



- დიახ
- არა
- მეხმარება პროგრამის ხელმძღვანელი

4.კალენდარული გეგმას ვინახავ მასწავლებლის პორტფოლიაში და განთავსებულია სამასწავლებლოში


4.კალენდარული გეგმას ვინახავ მასწავლებლის პორტფოლიაში და განთავსებულია
სამასწავლებლოში
32 responses



5.ატარებთ

5.ატარებთ:

32 responses




- თეორიული
- პრაქტიკულ მეცადინეობებს;
- თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობებს;

6.შეიმუშავეთ შეფასების ინსტრუმენტებს?

6.შეიმუშავეთ შეფასების ინსტრუმენტებს?


32 responses



- დიახ
- არა მეძლევა გამზადებული
- შევიმუშავეთ ჯგუფურად

7.აფასებთ პროფესიულ სტუდენტებს:

7.აფასებთ პროფესიულ სტუდენტებს:
32 responses



- შეფასების ინსტრუმენტის საშუალებით
- ჩეკლისტის საშუალებით
- ზეპირ სიტყვიერი მითითებებით

8. როგორ აცნობთ პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგებს

- განხილვით
- სიტყვიერად ვაწვდი ინფორმაციას ან შეფასების ინსტრუმენტის ჩვენებით (თუ არის ამის მოთხოვნა სტუდენტისგან).
- კოლეჯში საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- სტუდენტს ვანახებ თავის ნამუშევარს და განვიხილავთ შეცდომებს თუ აქვს რატომ უნდა
- სიტყვიერად
- შედეგებს ვაცნობ სიტყვიერად, ვიხილავთ შეცდომებს თუ ეს მნიშვნელოვანია.
- ზეპირ სიტყვიერად
- სიტყვიერად.ინდივიდუალურად.
- მოდულის დასაწყისში ვაცნობ შუნაარსს,შესაბამისად ვაცნობ ყველა სწავლის შედეგს და მის შინაარსს
- შედეგების დადასტურების შემდგომ ვაცნობთ დაშვებულ შეცდომებს
- თუ სურვილი აქვთ, ვაჩვენებ ნამუშევრებს, ვიხილავთ შეცდომებს
- ზეპირად


8. როგორ აცნობთ პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგებს

- ვიხილავ შედეგის დადასტურების მომდევნო ლექციაზე
- შედეგის დასტურების დროს
- მეილების საშუალებით და აგრეთვე მომდევნო ლექციაზე
- ინდივიდუალურად საკონტაქტო საათების ფარგლებში შედეგის დადასტურების შემდეგ.
- დაადასტურა თუა რა.თუ აინტერესებთ შეცდომების განხილვა
- სტუდენტი ადასტურებს ხელმოწერით
- სწავლის შედეგს ეცნობა სტუდენტი და ადასტურებს ხელმოწერით
- მოდულის დასაწყისში ვაცნობ ყველა შედეგს და მის კრიტერიუმებს,თუ რა შედეგზე უნდა გავიდეთ მოდულის დასრულების შემდეგ
- ელექტრონულად მეილის საშუალებით
- ინდივიდუალურად
- წერილობით
- ვაცნობებ სიტყვიერად
- ვაცნობ უშუალოდ ყველას თავის შედეგს და ზოგადად განვიხილავთ დაშვებული შეცდომების სწორ ვარიანტებს.

9.მონაწილეობთ თუ არა პროფესიული განვითარების აქტივობებში ?

9.მონაწილეობთ თუ არა პროფესიული განვითარების აქტივობებში ?

32 responses



- დიახ
- არა
- იშვიათად

10. დაასახელეთ რა აქტივობაში მიიღეთ მონაწილეობას ბოლო ექვსი თვის მანძილზე

- არ მახსოვს
- სხვადასხვა სახის ტრენინგები
- სხვადასხვა სახის ტრენინგებში
- გავიარე ტრენინგ-კურსი „google სერვისებში“ 22 თებერვალი-29 მარტი, 2022 წელი.
- მივიღე მონაწილეობა ვებინარში თემაზე: „სსსმ დაშშმ პირთა სასწავლო გარემო და მიდგომები“ 16 მარტი, 2022 წელი.
- ყველა აქტივობა რომელიც გამომდინარეა მოდულის განხორციელებისათვის
- ტრენინგებში მივიღე მონაწილეობა
- ტრენინგები
- ჩართული ვარ კოლეჯის მიერ ჩატარებულ ყველა ტრენინგში.
- ტრენინგები ვებინარები
- პრეზენტაცია კლასის მართვა

10. დაასახელეთ რა აქტივობაში მიიღეთ მონაწილეობას ბოლო ექვსი თვის მანძილზე

- კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში
- ეხლა მივიღე მონაწილეობა პირველად აქამდე არ მქონია შეხება
- ტრენინგები რომლებიც ჩატარდა კოლეჯის ხელმძღვანელობით
- კონფერენცია.
- პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლების შეფასება. ამერიკი საელჩოს მიერ განხორციელებული ტრენინგი " ეფექტური სწავლება "
- ბოლო 6 თვე საგანი არ მქონია.
- **17.05. 22.** ვებინარი „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის WHO უახლესი მიდგომები და ზოგადი რეკომენდაციები ტანამედროვე მედიცინაში "
- **16.03. 22.** ვებინარი „სსსმ და შშმ პირთა სასწავლო გარემო და მიდგომები "
- **22.02.22-29.03.22.** ტრენინგ-კურსი „Google სერვისები "

10. დაასახელეთ რა აქტივობაში მიიღეთ მონაწილეობას ბოლო ექვსი თვის მანძილზე

- ტრენინგები
- კომპიუტერული უნარჩვევების შესწავლა
- მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა ტრენინგებში
- კომპეტენციის შესაბამისად ვცდილობ მივიღო მონაწილეობა
- აშშ ს მიერ ორგანიზებული ტრენინგი პროფესიული მასწავლებლებისთვის
- მონაწილეობა მივიღე კოლეჯის მიერ განხორციელებულ ტრენინგებში
- ექსკურსია თბილისის ბოტანიკურ ბაღში, გარდენიაში და „ავერსი-რაციონალი“.

11. როგორ ახორციელებთ კოლეჯის რესურსებზე ზრუნვას?

- ვითხოვ საჭირო სასწავლო მასალას
- საჭირო სახელმძღვანელოს შესახებ ვაცნობებ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც უზრუნველყოფს მის მოძიებას და ხელმისაწვდომობას როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით.
- სალექციო და პრაქტიკული მუშაობის პერიოდში ვიყენებთ კოლეჯის რესურსებს
- ნაკლებად
- ვუფროთხილდები კოლეჯის რესურსებს ყველა თვალსაზრისით. საჭიროების შემთხვევაში ვაკეთებ მოთხოვნას ახალ სახელმძღვანელოზე, მასალა-რეაქტივებზე პრაქტიკული მეცადინეობისთვის.
- რესურსების ეფექტური გამოყენება
- ბიბლიოთეკიდან გამოტანილ სახელმძღვანელოს ვაბრუნებ დაუზიანებლად და დროულად.
- კომპეტენციის შესაბამისად ვცდილობ სადაც საჭირო იქნება ჩემი დახმარება იქ ჩავერთო
-

11. როგორ ახორციელებთ კოლეჯის რესურსებზე ზრუნვას?

- ვცდილობ თუ რაიმე საჭირო დირექციას ვუთხრა
- დადებითად
- ვცდილობ
- პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად კითხულობს, მჭირდება თუ არა რაიმე სახელმძღვანელო და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდვითი ლიტერატურის ხელმისაწვდომობას.
- პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით
- ვერ მივხვდი რომელ რესურსებზეა საუბარი?
- განვიხილავთ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად
- კომპეტენციის შესაბამისად ვცდილობ ჩემი წვლილი შევიტანო,
- ვიძიებ ახალ მასალებს
- პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით
- კოლეჯის ხელმძღვანელობას ვაცნობებ საჭირო ლიტერატურის საჭიროების შესახებ
- ვათანხმებ პროგრამის ხელმძღვანელთან
- რესურსების მოთხოვნას ვათანხმებ პროგრამის ხელმძღვანელთან.

12. ვისთან ხართ ანგარიშ ვალდებული?

- პროგრამის ხელმძღვანელთან
- დირექტორთან
- სასწავლო პროცესის მენეჯერთან
- პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან.
- პროგრამის ხელმძღვანელთან
- პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან
- პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახური, საერთოდ ზემდგომ პირებთან
- სასწავლო პროცესის მენეჯერი. პროგრამის ხელმძღვანელი
- მოდულის განმახორციელებლებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ხარისხის მმართველთან და ზოგადად კოლეჯის დირექციასთან.
- პროფესიულ სტუდენტებთან და დირექციასთან. აუცილებლად ჩემს პასუხისმგებლობასთან
- პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახური, კოლეჯის ხელმძღვანელები.
- ხელმძღვანელობასთან

12. ვისთან ხართ ანგარიშ ვალდებული?

- პროფესიულ სტუდენტებთან და კოლეჯის ადმინისტრაციასთან
- სტუდენტებთან
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, კოლეჯის ადმინისტრაციასთან
- სტუდენტი იყოს კმაყოფილია
- პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უძრუნვეყოფის ხელმძღვანელთან
- სასწავლო ნაწილის მენეჯერთან
- სტუდენტები.პროგრამის ხელმძღვანელი.მენეჯერი.ადმინისტრაცია
- პროექტის მენეჯერთან,განმახორციელებელთან და ხელმძღვანელებთან
- ვალდებული ვარ პროფესიულ სტუდენტებთან, დირექციასთან საკუთარ თავთან
- სტუდენტებთან,პროგრამის ხელმძღვანელთან, მენეჯერთან.
- პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის მენეჯერთან
- პრ.ხელმძღვანელთან ,მენეჯერთან ,ადმინისტრაციასთან
- პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო მენეჯერთან.

13. კომპეტენციის ფარგლებში რა საქმიანობას ახორციელებთ (მაგალითად მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ვერიფიკაციაშიან სხვა)

- არა
- კი
- დიახ, მიმიღია
- მონაწილეობა მივიღე ვერიფიკაციაში
- ჯერ არა
- ვერიფიკაციაში მაქვს მიღებული მონაწილეობა.
- ვერონიკა ია. გასვლითი ლექციები
- საგნის პედაგოგებთან ერთად მიმიღია მონაწილეობა სახელმძღვანელოების შერჩევასა და შეფასების ინსტრუმენტების შედგენაში.
- კომპეტენციის შესაბამისად კიი
- კი მიმიღია მონაწილეობა

13. კომპეტენციის ფარგლებში რა საქმიანობას ახორციელებთ (მაგალითად მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ვერიფიკაციაშიან სხვა)

- ვერიფიკაციაში.
- კი
- ვერიფიკაცია, ინვენტარიზაცია, სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება.....
- კი მიმიღია მონაწილეობა ვერიფიკაციაში
- დიახ მიგვიღია მონაწილეობა ვერიფიკაციაში
- ვერიფიკაციაში მიმიღია მონაწილეობა.
- კი ხელმძღვანელთან ერთად
- მიმიღია
- დიახ
- კომპეტენციის შესაბამისად კი მიმიღია ვერიფიკაციაში მონაწილეობა
- კი მიმიღია
- ნაკლებად
- გავიარე ვერიფიკაცია.

14. რა სახის ტრენინგები გჭირდებათ თქვენი აზრით რომ შეასრულოთ თქვენი უშუალო მოვალეობა კოლეჯში

- მუდმივად მაქვს კონტაქტი პროგრამის ხელმძღვანელთან და ვიღებ საჭირო ინფორმაციას. პერიოდულად ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგი როგორც ონლაინ, ისე აუდიტორიაში, რაც სავსებით საკმარისია.
- კოლეჯში ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას
- რაც ხელს შემიწყობს პროფესიულ განვითარებაში
- სტუდენტებთან ურთიერთობის თანამედროვე მეთოდები.
- პროფესიული გადამზადება სიახლეებზე
- ბოლო დტოს ჩატარებულმა ტრენინგმა კარგად გაგვაცნო სწავლების ახალი მეთოდები. ვფიქრობ ამ ეტაპზე არ მესაჭიროება არანაირი ტრენინგი.
- ვფიქრობ ნებისმიერი ტრენინგი სასარგებლო იქნება.
- შეფასების და კალენდარულის შესახებ
- კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტის შესახებ
- მიჭირს პასუხის გაცემა
- სტუდენტებთან ურთიერთობის უახლესი მეთოდები
- თანამედროვე სწავლის მიდგომები და გამოწვევები, სიახლეების გაცნობა, პროფესიული კოლეჯების საქმიანობაში, ახალი კანონების და ნორმატიული დოკუმენტების.

14. რა სახის ტრენინგები გჭირდებათ თქვენი აზრით რომ შეასრულოთ თქვენი უშუალო მოვალეობა კოლეჯში

- ვფიქრობ რომ ბოლო დროს კოლეჯის მიერ ჩატარებული ტრენინგები ძალიან გამომადგება მუშაობის გაგრძელებაში
- კოლეჯში პერიოდულად ტარდება გადამზადების ტრენინგები
- ჩატარდა ტრენინგი და მოხიბლული ვარ⁰ კოლეჯში
- ტრენინგები კალენდარული გეგმის განახლების და შეფასების ინსტრუმენტების დახვეწისთვის რომლებიც გავიარეთ
- კმაყოფილი ვარ ჩატარებული ტრენინგებით.
- კოლეჯში მუდმივად ტარდება სხვადასხვა ტრენინგი, რაც ჩემი აზრით სავსებით საკმარისია.
- ვესწრები ყველანაირ ტრენინგებს რაც მეხმარება პროგრამის განხორციელებაში
- თუ არსებობს რაიმე სიახლე პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებით
- სწავლების უახლესი მეთოდების გაცნობა
- ნებისმიერი ტრენინგი ინფორმატიული და ბევრის მომცემია
- დეტალური ტრენინგი კალენდარული გეგმის დახვეწაში
- გავიარეთ ტრენინგები რომლებიც მნიშვნელოვნად დამეხმარება ჩემი მოვალეობის შესრულებაში
- პერიოდულად საჭიროა ტრენინგები ეფექტური სწავლებისთვის
- ვცდილობ თვითგანვითარებას.

15. დაწერეთ რას საჭიროებთ და რას ვერ იღებთ კოლეჯში ეფექტური სწავლების გადასაცემათ

- დიდი ხანია ვითხოვ ფარდებს
- საჭიროა სტუდენტების დასწრების უზრუნველყოფა
- არ მაქვს პასუხი
- კოლეჯი ზრუნავს სპეციალისტების პროფესიულ განვითარებაზე,
- ეფექტური სწავლებისთვის საჭირო რესურსები არსებობს კოლეჯში და გარდა ამისა თუ მჭირდება რაიმე სხვა, მოთხოვნის შემდეგ ვღებულობ.
- კოლეჯში ყველა საჭირო რესურსია
- კოლეჯის მხრიდან ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ეფექტური სწავლების გადასაცემად აუცილებელია სტუდენტების დასწრება.
- კოლეჯის რესურსი საკმარისია. მთავარია მსმენელი იყოს. მაღელვებს სტუდენტთა დაბალი მოსწრება
- საჭიროა დემონსტრირების საშუალებები მუშაობდნენ გამართულად
- რაც მჭირდება ამჟამად ვიღებ ყველაფერს. საჭიროების შემთხვევაში ვაკეთებ მოთხოვნას (სახელმძღვანელო, მასალა ნედლეული და სხვა.), რასაც ითვალისწინებენ

15. დაწერეთ რას საჭიროებთ და რას ვერ იღებთ კოლეჯში ეფექტური სწავლების გადასაცემათ

- ყველაზე მთავარი პრობლემა ეს სტუდენტების დასწრებაა
- ყველაფერი მისაღებია
- კოლეჯში ყველა პირობაა ეფექტური სწავლების წარმართვისთვის
- ყველაფრით კმაყოფილი ვარ
- სასურველია სტუდენტთა დასწრების გაუმჯობესება
- მიჭირს პასუხის გაცემა რადგან ყველა საშუალება არსებობს კოლეჯში
- ჩემი სასწავლო თემატიკის გათვალისწინებით მაკმაყოფილებს კოლეჯის რესურსი
- კოლეჯის რესურსი საკმარისია
- ყველანაირი რესურსით უზრუნველყოფილი ვარ
- არაფერი
- კოლეჯში საუკეთესო პირობებია ჩემი მუშაობისთვის
- ყველა საჭირო რესურსი არის
- ეფექტური სწავლებისთვის ვფიქრობ, საჭიროა ეფექტური სასწავლო პროგრამები და შესაბამისი დონის სახელმძღვანელოები.

დასკვნა

- მიღებული პასუხებიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებასთან მიმართებით.
- მათი უნარები შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები შეფასების სისტემის შესახებ, კერძოდ მტკიცებულებების განკარგვასთან მიმართებით.